



# სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი  
გამოდის 1957 წლიდან

№8 (296) ოქტომბერი, 2016 წელი

## გაზეთი




გვ 3

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლები ამერიკული AMERICAN MEDICAL ASSOCIATION-ის გამგზავნი

უნივერსიტეტის რეიტინგი 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულთა საშუალო საკლირებულ ქულას მაჩვენებლების მიხედვით

გთავაზობთ უმაღლესი სასწავლებლების პირველ ათეულს



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის დააჯილდოვა



გვ 3

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ახა ხელახან და აფასებენ


**გვ 4 სტუდენტური გვერდი**  
• ფარების ფესტივალი  
• საინტერესო დღეები გაკურინაში  
• welcome party



პოსტტრავმული კოქსარტროზი და მისი მართვა

გვ 5

**გვ 6 „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი - 2016“**




2016 წლის 3 ოქტომბერს დასახელდა ნობელის პრემიის ლაურეატი მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგში – ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, იოსინორი ოსუმი (Yoshinori Ohsumi), რომელმაც აუტოფაგიის ტერმინოლოგია აღმოაჩინა.

გვ 5

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯაფარიძე:

„თქვენ სწავლობთ ძალიან გამორჩეულ, ძალიან ღირსეულ და საინტერესო სასწავლო დაწესებულებაში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; თქვენ ხართ გმირები, რომ აორჩიეთ ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი პროფესია ჩვენი ქვეყნისთვის და ხართ ყველაზე ნიჭიერი, პატრიოტი, განათლებული თაობა. საქართველო თქვენი ძალისხმევით სრულიად ახალ სიმაღლეებს მიაღწევს, ახალ ასპარეზზე გავა. თქვენ გეძლევათ

შესაძლებლობები კარიერისთვის, კვლევისთვის, მეცნიერებისთვის, ასეთი პირობები ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ყოფილა. მაქსიმალური ძალისხმევა დახარჯეთ ცოდნის შესაძენად, მაქსიმალურად ისარგებლეთ იმ ხალხის ცოდნით, ვინც თქვენ გასწავლით. ისინი გამორჩეული ადამიანები არიან, დიდი გამოცდილებით და ცოდნით. (2016 წლის 19 სექტემბერი. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე წარმომადგენელი სიტყვიდან)



### თბილისის მერი დავით ნარაგია:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი გამოცდილებისა და ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებელი, საამაყო თაობების აღზრდელია. თბილისს ახსოვს მძიმე წლები, როცა აქ საზოგადოებრივ საწყისებზე ტარდებოდა მეცადინეობები, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაიცვა და შეინარჩუნა ეს უნივერსიტეტი. თსსუ ფართოდება, ძლიერდება. საერთო ძალისხმევით მოვედით აქამდე. (2016 წლის 19 სექტემბერი. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე წარმომადგენელი სიტყვიდან)

ციულმა პერსონალმა დაიცვა და შეინარჩუნა ეს უნივერსიტეტი. თსსუ ფართოდება, ძლიერდება. საერთო ძალისხმევით მოვედით აქამდე. (2016 წლის 19 სექტემბერი. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე წარმომადგენელი სიტყვიდან)



### შახვედრა ემორის უნივერსიტეტის პროფესორებთან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხუღია შეხვედრაში ემორის უნივერსიტეტის ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის პროგრამის დირექტორს, პროფესორ ზოჰერ კაპასს, მის მოადგილეს – მერი იოჰანსონს და ემორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორს, ასისტენტ-პროფესორს, არჩილ უნდილაშვილს, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელიც გახლავთ. ისაუბრეს ახალი პროგრამების დანერგვასა და განვითარებაზე, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო

სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე, ერთობლივი ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვისა და კლინიკური ცენტრის განვითარების შესახებ. პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით განხორციელდება. შეხვედრას ესწრებოდნენ ემორის უნივერსიტეტის პროფესორები: კენეტ ვოლკერი და გორდონ ჩერჩორდი, ასევე, ემორის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის დირექტორი ნათენიელ გოზანსკი, რომელიც სათავეში უდგას ემორის იურიდიული სკოლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი, ჯანდაცვის სამართლის და ჯანდაცვის ადმინისტრირების დიპლომირებული პროგრამების განვითარებას. სტუმრებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე, დაისახა თანამშრომლობის გზები.

### სასწავლო კურსები გავრცელდა ნევროლოგიაში



გაიხსნა ორდღიანი, რიგით მეთრე, კავკასიური სასწავლო კურსები ბავშვთა ნევროლოგიაში. საერთაშორისო სასწავლო კურსების ორ-

განიზატორები იყვნენ: ევროპის პედაგოგიული ნევროლოგიის საზოგადოება (EPNS), საქართველოს ბავშვთა ნევროლოგიისა და ქვევითი დარღვევების ასოციაცია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი, პროფესორი ნანა გელაძე). სასწავლო კურსების მონაწილეებს მიესალმნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და საქართველოს ბავშვთა ნევროლოგიისა და ქვევითი დარღვევების ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ნანა გელაძე. ღონისძიებაზე მოხსენებებით წარსდგნენ ქართველი და უცხოელი პროფესორები.

### საერთაშორისო ფორუმზე სინგაპურში

2016 წლის 26-28 სექტემბერს სინგაპურში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „მსოფლიოში ჯანდაცვის ხარისხი და უსაფრთხოების საკითხები“, სადაც საუბარი შეეხო მსოფლიოში ჯანდაცვის ხარისხისა და უსაფრთხოების საკითხებს. ფორუმის ორგანიზატორები: სინგაპურის ჯანდაცვის განვითარების ქსელი (SHINE), სინგაპურის ჯანდაცვის სამინისტრო, ბრიტანული სამედიცინო ჟურნალი (BMJ) და აზიის სხვა ქვეყნებში მოქმედი სამედიცინო ტექნოლოგიური ორგანიზაციები. ფორუმზე საქართველოს დელეგაციას წარმოადგენენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისმდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ზაზა ბოხუა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ეკატერინე ქავთარაძე და BMJ-ის საქართველოს პროექტის კოორდინატორი ელენე გოძიაშვილი. საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში



მოხდა არაერთი შეხვედრა პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან, ასევე, ბრიტანული სამედიცინო ჟურნალის BMJ-ის ხელმძღვანელებთან და დაისახა მომავალი ურთიერთ-თანამშრომლობის გეგმები. ვიზიტის ფარგლებში, ასევე, მოენციო შეხვედრა აგენომის კვლევითი ინსტიტუტის მიმართულების ხელმძღვანელთან ჩვენს თანამემამულე, ალექსანდრე ლუფავასთან.

### „სამედიცინო სიმულაციების ეფექტური გამოყენება – სიმულაციისა და უფუძრული სამედიცინო განათლება“



მიმდინარე წლის 17-18 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ამერიკულ-აუსტრალიელი ფონდის და „ღია სამედიცინო ინსტიტუტის“ მხარდაჭერით, ჩატარდა სამხრეთ კავკასიის ერთობლივი სატელიტ-სიმპოზიუმი – „სამედიცინო სიმულაციების ეფექტური გამოყენება – სიმულაციების ეფექტური გამოყენება – სიმულაციების ეფექტური გამოყენება“. სიმპოზიუმზე პროფესორმა ჯეიმს კალაპანინმა და პროფესორმა სეიჯ მაიერმა წარმოადგინეს მოხსენებები სიმულაციების გამოყენების, სცენარების შექმნისა და შეფასების საკითხებზე. სიმპოზიუმი გახსნა და აუდიტორიას მიესალმა თსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. სიმპოზიუმზე დასასრულად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინი-

კური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი გორკამა აპმედოვი და ტექნიკური ასისტენტი ჯამილ ჰასანოვი. სიმპოზიუმის მეორე დღეს პროფესორი ჯეიმს კალაპანინი და პროფესორი სეიჯ მაიერი შეხვედრაში ვიცე-რექტორს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს. შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ირმა მანჯავიძე და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო კანდელაკი. შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობაზე. სამხრეთ კავკასიის სატელიტ-სიმპოზიუმის – „სამედიცინო სიმულაციების ეფექტური გამოყენება – სიმულაციების ეფექტური გამოყენება – სიმულაციების ეფექტური გამოყენება“ – მონვეული ექსპერტებისა და სტუმრებისათვის სპეციალური მიღება გაიმართა ფონდ – „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში. საერთაშორისო ექსპერტებმა, პროფესორებმა ჯეიმს კალაპანინმა და სეიჯ მაიერმა მადლიერება გამოხატეს მაღალ დონეზე ორგანიზებულ სიმპოზიუმის გამო. ასევე, სტუმრებმა დათვალა იერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი. პროფესორმა ირმა მანჯავიძემ მათ დეტალურად გააცნო, თუ როგორ მუშაობს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი და როგორ ხდება სიმულაციური სწავლების ინტეგრაცია თსუ-ის სასწავლო კურიკულუმში. ნაადრევ სტადიაზე აღმოჩენისას, 10-დან 8 მმ-თხვევაში დაავადება განკურნებადი. ამდენად, ამ დაავადების აღმოჩენა და დროული მკურნალობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. „შემოგვიერთდით – ერთად დავამარცხოთ ძუძუს კიბო“, – ასე უდერ თსუ-ისა და თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ამ დღისადმი მიძღვნილი სლოგანი. ამავე დღის აღსანიშნავად დაიგეგმა უფასო კონსულტაციები ქალბატონებისთვის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორთან, ასოცირებულ პროფესორთან, მამოლოგ ირაკლი კობრეიძესთან.

### პარდისფერი ოქტომბერი

2016 წლის 28 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ორგანიზებით, ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი ვარდისფერი ოქტომბრის (Pink October) ფარგლებში, საინტერესო ღონისძიებები დაიგეგმა. ღონისძიების მიზანია გაზარდოს ცნობადობა ძუძუს კიბოს რისკების შესახებ და გაავრცელოს ინფორმაცია რეკლამარული თვითშემოწმების და კიბოს სკრინინგის აუცილებლობის შესახებ. ძუძუს კიბო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება ქალებში, ამავე დროს,

### ქსოვილოვანი ბიოინჟინერიის უახლესი მიღწევებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის პროფესორი ზურაბ კაკაბაძე, აღნიშნული დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი დავით ჩახუნაშვილი და ანატომიური თეატრის დირექტორი – კონსტანტინე ჩუტკურაშვილი იმყოფებოდნენ რაისის უნივერსიტეტში გამართულ 24-ე ყოველწლიურ, ქსოვილოვანი ბიოინჟინერიის უახლესი მიღწევებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე, სადაც თსუ-ის სახელით წარადგინეს 3 მოხსენება. უილიამ მარშ რაისის უნივერსიტეტი მდებარეობს პიუსტონში (ტეხასი, აშშ) და ითვლება აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე მონივრულ უნივერსიტეტად. ამ უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობა საკმაოდ მაღალია, მაგალითად, 2014 წელს

სამედიცინო კვლევების დაფინანსება შეადგინდა 115.3 აშშ დოლარი. რაისის უნივერსიტეტში მოღვაწეობენ 3 ნობელის პრემიის ლაურეატი, 2 პულიცერის პრემიის მფლობელი და სხვა. რაისის უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო კვლევების ცენტრი განლაგებულია შვიდ სართულიან შენობაში და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურა-დანადგარებით. კვლევების ძირითადი მიმართულება ეხება ახალი ქსოვილებისა და ორგანოების შექმნას და მათ გამოყენებას კლინიკურ პრაქტიკაში. რაისის უნივერსიტეტში ჩატარებული სიმპოზიუმი გამოდგა მეტად წარმატებული თსუ-ის მეცნიერთათვის. ძირითადი მოხსენებები ეხებოდა სამგანზომილებიანი დეცელულარული საფორმების გამოყენებით ახალი ქსოვილებისა და ორგანოების შექმნას და მათ გამოყენებას კლინიკურ პრაქტიკაში. ასევე, წარდგენილი იყო მოხსენება, რომელიც ეხებოდა ძვლის ტვინის ლეოვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის ზურგის ტვინის დაზიანებების დროს კლინიკაში. პრეზენტაციებმა დიდი მონონება და დაინტერესება გამოიწვია. თსუ-ის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება გამართეს რაისის უნივერსიტეტის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ამ დარგში მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან მომავალი ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარების თაობაზე.

### 23 წელი სოხუმის დაცევიდან

90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან 23 წელი გაიდა. 27 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სოხუმის დაცემის დღე აფხაზეთის ომში ბრძოლის ველზე დაცემულ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა: გიორგი მიროტაძის, ილია მელაძის, ვასილ კილაძის, ნიკოლოზ ლიბრაძის და რევაზ მუმლაძის ხსოვნის მემორიალთან აღინიშნა. წელს მემორიალთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მათ პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულ სამედიცინო უნივერსიტეტის

სტუდენტებს. ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს თსუ-ის ვიცე-რექტორებმა, პროფესორებმა: ხათუნა თოდაძემ, რიმა ბერიაშვილმა, ირაკლი კობრეიძემ; ასევე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი მიაქაძემ. ღონისძიების დასასრულს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გაემართნენ გმირთა მოედნისაკენ, სადაც შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამართულ ერთიან მსვლელობას, რომელიც გაიმართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სამშვიდობო მისიებში დაღუპული გმირების მემორიალის პატივსაცემად.

### თსუ-ის ლოტორანტების წარმატება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოცხადებულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსში გამარჯვება მოიპოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექვსმა დოქტორანტმა: ნათელა პასაშვილმა – ლვიძლის კიბოს მკურნალობის ორი განსხვავებული სტრატეგიის – რადიოსიზნირული აბლაციისა და ლვიძლის ქირურგიული რეზექციის – შედარებითი ანალიზი (ხელმძღვანელები: პროფესორები – მალხაზ მიზანდარი (თსუ-ის ინტერვენციული რადიოლოგიის დეპარტამენტი) და თინათინ ჩიქოვანი (თსუ-ის იმუნოლოგიის დეპარტამენტი); კონსტანტინე ჩახუნაშვილმა – პლაცენტის ჭიბლარის არტერიისგან სამგანზომილებიანი მატრიქსის შექმნა და მისი გამოყენება ბიოლოგიური ატრეზიის ქირურგიაში (ხელმძღვანელები: პროფესორები – ზურაბ კაკაბაძე (თსუ-ის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი) და ირაკლი ფავლენიშვილი (თსუ-ის ნეონატოლოგიის დეპარტამენტი); ქეთევან კანკავამ – ძუძუს კიბოს ეპიგენეტიკური ასპექტები საქართველოს ქალთა პოპულაციაში (ხელმძღვანელები – პროფესორი: ელენე აბოიანიძე (მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი) და ასოცირებული პროფესორი გიორგი ბურკაძე (პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი); ნანა კიკალიშვილმა – ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესების პროლიფერაციული

ღეროვან უჯრედოვანი ინდექსი და ფენოტიპური თავისებურებები (ხელმძღვანელი: პროფესორი რიმა ბერიაშვილი – თსუ-ის ციტოპათოლოგიის დეპარტამენტი); სოფიო გოქაძემ – ტრანსდერმული ნანოკომპოზიციის შემუშავება ლაშქარის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების საფუძველზე (ხელმძღვანელი: პროფესორი ალიომა ბაკურაძე (თსუ-ის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი) და ვ. ბარბაქაძე); თამარ მასიუკოვიჩმა – აჭარის რეგიონის ზოგიერთი ტიპის ლამინა სულფიდური პელიოდების კვლევა ბალნეოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენების მიზნით (ხელმძღვანელები: პროფესორი – ალიომა ბაკურაძე (თსუ-ის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი) და ასოცირებული პროფესორი – თამაზ მურთაზაშვილი (თსუ-ის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი). აღსანიშნავია, რომ დოქტორანტების საგანმანათლებლო პროგრამების 2016 წლის საგრანტო კონკურსზე 231 საპროექტო განაცხადი დარეგისტრირდა, რომლიდანაც 61 მოიხსნა. დარჩენილი 170 პროექტიდან დაფინანსდა 76. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 6 დოქტორანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაუნიშნავს სტიპენდიას, დაუფინანსებს სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაში მონაწილეობას.

### სიკეთე გადადგია

10 ოქტომბერს, სტუდენტური თვითმმართველობის ეგდითა და ორგანიზებით, მიუსაფართა საერთაშორისო დღის ფარგლებში, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა მოაწყვეს საქველმოქმედო მსვლელობა-აქცია სახელწოდებით „სიკეთე გადადგია“. მსგავს აქციებს ეწეება მასშტაბური სახე და სისტემატური ხასიათი. ადმინისტრაციული კორპუსის მეოთხე სართულზე, სტუდენტური თვითმმართველობის 405-ე ოთახში, დაიწყო ტანსაცმლის, სათამაშოების, ჰიგიენის ნივთების, საკვები პროდუქტებისა და ნებისმიერი სამომხმარებლო ნივთის შეგროვება, რომელიც გადაეცემა მათ,



ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება, – აღნიშნავენ თვითმმართველობის წევრები.

### ექიმ-ორთოდონტ მერი კოტარიას იუბილე

თსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის კოლექტივმა ექიმ-ორთოდონტ მერი კოტარიას იუბილე აღინიშნა. ქალბატონი მერი 1956 წლიდან დღემდე მოღვაწეობს თსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიურ კლინიკაში. მას მინიჭებული აქვს საქარ-

თველოს დამსახურებული ექიმის წოდება და დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. კლინიკაში მოღვაწეობის 60 წლის მანძილზე მან კოლეგების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ქალბატონი მერის მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შედეგია ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც გარემოცულია კოლეგებისა და სტუდენტებისა. ის კვლავაც აგრძელებს შრომას და პროფესიონალიზმის მაგალითს აძლევს ახალგაზრდებს.





### ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის დააჯილდოვა

28 სექტემბერი ინფორმაციაზე უნივერსალური ხელმძღვანელობის საერთაშორისო დღეა! წელს ინფორმაციაზე წვდომის უფლების 250 წლისთავი აღინიშნება. ინფორმაციაზე წვდომის კანონმდებლობა მსოფლიოში პირველად 250 წლის წინ შედგენა და ფინეთში მიიღეს. ასევე, 2016 წლის 28 სექტემბერს იუნესკო პირველად აღნიშნავს ინფორმაციაზე უნივერსალური ხელმძღვანელობის საერთაშორისო დღეს (იუნესკოს რეზოლუცია 38 C/70, 17 ნოემბერი 2015).

ამ დღესთან დაკავშირებით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), ფონდ ლია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, უკვე მეოთხედ დააჯილდოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2016 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმძღვანელობის მონიტორინგის შეფასების შედეგად. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) 50-ზე მეტი საჯარო დაწესებულება შეაფასა 100%-იანი საჯაროობის მაჩვენებლით, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა აქ მოცემულ ვადებში და სრულყოფილად დანერგილია.

### კონფერენცია – „სამედიცინო განათლების სიახლეები“



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა განსაკუთრებულად აღნიშნა კენ ვოლკერის 80 წლის იუბილე. ამ თარიღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, თსუ-ის სადი-სერტაციო დარბაზში კონფერენცია, – „სამედიცინო განათლების სიახლეები“ – ჩატარდა.



კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, თსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა, ამერიკის შეერთებული შტატების მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის პრეზიდენტმა რამონ სუარეზმა, ემორის უნივერსიტეტის პროფესორებმა კენეტ ვოლკერმა, დუგლას ანდერმა, ჯესიკა არლაკმა, ჯენიფერ გადკინმა, ალექსანდერ ისაკოვმა, ბრაიან მაკნალიმ, პიტ-სბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ელიოტ გოზანსკიმ, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პროფესორმა, დევიდ დომინგესმა.



დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სპონსორი ლონისიძის, ასევე, ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები: პროფესორი რიმა ბერიაშვილი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრეიძე, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი გიორგი აბესაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, USMD პროგრამის ოთხივე კურსის სტუდენტები, მათი მშობლები და მეგობრები. მათ შორის იყვნენ აშშ-დან დაბრუნებული პროგრამის მფლობელები ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში იმყოფებოდნენ, სადაც ეცნობოდნენ ამერიკულ სამედიცინო განათლებასა და დასავლურ სამედიცინო სისტემას.



### თეთრი ხალათების ცერემონია

2016 წლის 28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის წლის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. „თეთრი ხალათების ცერემონია“, გასული წლების განსხვავებით, გაცილებით პომპეზურად ჩატარდა, რადგან წელს ის კენეტ ვოლკერის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.



ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ემორის უნივერსიტეტსა (ატლანტა) და, ასევე, საქართველოში მოღვაწე ამერიკულ პროფესორს 4 ოქტომბერს 80 წელი შეუსრულდა. იგი თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქეა. საგანგებოდ „თეთრი ხალათების ცერემონიისა“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სამედიცინო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ამერიკიდან 35-მდე სტუმარი ეწვია, მათ შორის – ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და მედიკოსები: გორდონ ჩერჩვორდი, ბრაიან მაკნალი, ჯესიკა არლაკი, დუგლას ანდერსონი, ჯენიფერ გადკინი, ალექსანდერ ისაკოვი, ზოპერ კაპასი, ასევე, რამონ სუარეზი – აშშ მეანგინეკოლოგთა კოლეჯის პრეზიდენტი, ელიოტ გოზანსკი – პიტსბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და სხვ.

თეთრი ხალათების 2016 წლის ცერემონია თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე გაიმართა. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების ყოველწლიური საზეიმო მიღება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ გახსნა.

„თეთრი ხალათების ცერემონიის“ უძღვებოდა ემორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ-ის მოწვეული პროფესორი – არჩილ უნდილაშვილი.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელებს სწავლის დაწყება მიულოცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა ადამ ლამორუსს, ამერიკის შეერთებული შტატების სრულყოფილებიანი და საგანგებო ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს საქართველოში, მარკ ჰარტელს, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამედიცინო კვლევის განყოფილება – საქართველოს დირექტორს, ზოპერ კაპასს, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის დეპარტამენტის პროფესორს და სხვა საპატიო სტუმრებს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სპონსორი ლონისიძის, ასევე, ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები: პროფესორი რიმა ბერიაშვილი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრეიძე, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი გიორგი აბესაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, USMD პროგრამის ოთხივე კურსის სტუდენტები, მათი მშობლები და მეგობრები. მათ შორის იყვნენ აშშ-დან დაბრუნებული პროგრამის მფლობელები ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში იმყოფებოდნენ, სადაც ეცნობოდნენ ამერიკულ სამედიცინო განათლებასა და დასავლურ სამედიცინო სისტემას.

„თეთრი ხალათების ცერემონიის“ შემდგომ უცხოელმა სტუმრებმა პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა დაათვალიერეს. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) ხელშეწყობით 2013 წლიდან ფუნქციონირებს. სასწავლო პროგრამა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კურიკულუმზეა დაფუძნებული. პროგრამის სტრუქტურა უადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესშივე ჩაბარონ აშშ სამედიცინო ლიცენზირების გამოცდის (USMLE) ორივე საფეხური ეტაპობრივად და საშუალებას აძლევს კლინიკური გამოცდილება მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი.



ნინო ზარდიაშვილი  
თსუ-ის დიპლომირებული  
მედიკოსის აკადემიური პროგრამის  
საზოგადოებასთან ურთიერთობის  
მენეჯერი

# WELCOME PARTY



ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ პირველ-სემესტრულ სტრადიციულ ნვეულებში უმასპინძლა.

ნვეულება გაიმართა კლუბ „Underwheel“-ში. საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ: რეზი ბაზიერი, Kioshi Sato და Digital Love affairs.

პირველსემესტრულ დახვედრისთვის მონაწილე ნვეულება ყოველწლიურად იმართება, წელს კი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობას პირველად უმასპინძლა ამ კლუბმა. უნდა ითქვას, რომ იმ დღეს სტუმართა რაოდენობამ რეკორდულს მიაღწია. საღამომ საინტერესოდ ჩაიარა. მას შეუდარებელი ელფერი შესძინა მუსიკამ, რომელმაც დადებითი მუხტი შემოიტანა ყველა ჩვენგანში. სტუდენტები დატკბნენ თბილისის ულამაზესი ხედით. საღამო ჩვენთვის დაუვიწყარი აღმოჩნდა. კლუბი „Underwheel“, რომელიც განეზღვრებოდა ხმაურითა და ნვეულებით, ჩვენმა სტუდენტებმა განსაკუთრებული სიხალისით და პოზიტივით აავსეს. ნვეულება გვიან დამემდეგ გავრძელდა და იმ იმედით და შემართებით დასრულდა, რომ ეს მხოლოდ სასაამოვნო დასაწყისია.

**მარიამ ბერიკაშვილი,**  
მედიცინის ფაკულტეტის  
V სემესტრის სტუდენტი



მას სიყვარულის ფესტივალსაც უწოდებენ და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, სახალისო და გასართობი აქციაა. **Holi** – ამ სახელწოდებით ცნობილი ფესტივალის გაზაფხულის დადგომას აღნიშნავენ და ის, მზის შუქთან ერთად, ბუნების ფერებითაა სავსე. ფესტივალის შექმნის და ჩატარების იდეას ინდოეთში ჩაეყარა საფუძველი და თავდაპირველად რელიგიურ ხასიათს ატარებდა; თუმცა, მან რელიგიური შინაარსი დაკარგა და მსოფლიოს მრავალ ქვე-

ყანაში ყოველწლიურად ტარდება. ამ დღეს ყველა ერთად აღნიშნავს, განურჩევლად სოციალური ფენის, რელიგიური შეხედულებისა თუ სქესისა და, სწორედ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ 22 სექტემბერს განხორციელდა პროექტი – „Color Festival“, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდა. მასში 1500 მოხალისე მონაწილეობდა. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ბენდი – „ART PROJECT“, DJ კი გიორგი



## საუკეთესო უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით

სტუდენტობა ოქროს ხანაა... და აი, დადგა ბევრჯერ ნანატრი ახალი ეტაპი ცხოვრებისა – სკოლაში თორმეტწლიანი სწავლისა და საგამოცდო სირთულეების დაძლევის შემდეგ, სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოვჩნდით.

სწავლის დაწყება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, თბილისის მერმა და არაერთმა ქართველმა თუ უცხოელმა პროფესორმა მოგვილოცა. ჩვენ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ.

სწავლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, როგორც ყველა პირველსემესტრული, დეკანატში რეგისტრაციაზე მივედი და უკვე დადებითი ემოციით დავიმუხტე...

...მერე სიხარულითა და მოლოდინით ვითვლიდი დღეებს სწავლის დაწყებამდე. უნივერსიტეტში მოსვლის პირველივე დღიდან კი დავრწმუნდი ჩემი არჩევანის სისწორეში. ასევე, ძალიან მალე გავაცნობიერე, რომ ახალი, დიდი და მეგობრული ოჯახის წევრი გავხდი, სადაც სიყვარული, სითბო, პატივისცემა არ გვაკლია. ჩვენთვის ყოველი დღე მრავალფეროვანი და განსხვავებულია. ამასთან, სტუდენტური თვითმმართველობა გამორჩეულ, დახვეწილ, მასშტაბურ ღონისძიებებსა და აქტივობებს გვთავაზობს, რაც ერთმანეთის გაცნობის, დაახლოების, განვითარებისა თუ სასაამოვნოდ დასვენების შესანიშნავი საშუალებაა.

ჩვენთან ყველაზე ნიჭიერი, წარმატებული, განათლებული სტუდენტები სწავლობენ. დეკანატში კი ყოველგვარ სიახლეს დროულად გვანვლიან, პედაგოგები დროსა და ენერჯიას არ ზოგავენ, გვეხმარებიან, საქორბების შემთხვევაში, დამატებით დროსაც გვითმობენ და გვაიმედებენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

იმედი მაქვს, მშობლიური უნივერსიტეტი დაგვეხმარება, გავხდეთ უკეთესები და ავისრულოთ ოცნებები.

მე თსუ-ის სტუდენტი ვარ და ყოველწლიურად ყველაზე გონიერ, ნიჭიერ და მოტივირებულ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა. გარდა იმისა, რომ მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, ჩვენი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ ასეთი საზოგადოებრივი პროექტი იყო – „მოხალისეთა გადამზადების სკოლა“, რომელიც ერთგვარ გამომწვევად იქცა.

რა არის მოხალისეობა და რატომ სჭირდება სოციალურად ადამიანები, რომლებიც თავისუფალი ნების საფუძველზე და ყოველგვარი მატერიალური ინტერესის გარეშე, სასიკეთოდ ცვლიან საზოგადოებრივ ცხოვრებას?

პროექტი ჩატარდა ბაკურიანში და აერთიანებდა ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს. თუმცა, ყველაზე სასიხარულო იყო, რომ მონაწილეთა უმრავლესობა სწორედ სამედიცინო უნივერსიტეტიდან გახლდათ.

ოთხი დღის განმავლობაში გავ-

**თათია კაკულია,**  
სტომატოლოგიის ფაკულტეტის  
I სემესტრის სტუდენტი

## საინტერესო დღეები ბაკურიანში

რეგულარული მოხალისეობა. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შექმნილია გუნდმა, დაგვირეცა ორი პროექტი: „კაფე 60+“, რომელიც ითვალისწინებს სოციალური კავის შექმნას მოხუცებულთათვის და პროექტი – „ნაბიჯი წინ“, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჯანდაცვის სფეროს: კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებული ვეტერანების დახმარებას. ჩვენმა პროექტებმა განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა, ამიტომ ვაპირებთ ეს პროექტები უფრო ფართომასშტაბიან აუდიტორიას გავაცნოთ.

გარდა მიღებული ცოდნისა და გამოცდილებისა, გავატარეთ ოთხი არაჩვეულებრივი დღე, შევხვდით უამრავ საინტერესო ადამიანს და, რაც მთავარია, გავაცნობიერეთ, რომ მოხალისეობა ნიშნავს, აიღო შენს თავზე არსებული გარემოს შეცვლის პასუხისმგებლობა.



ცანით სამ არასამთავრობო ორგანიზაციას, შევიტყვევეთ მათი საქმიანობისა და მიზნების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაცია – „ჰელფინგ ჰენდ“, „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „აისეკი“ (AIESEC).

გარდა იმისა, რომ გავეცანით მათ საქმიანობას და სურვილი გვაქვს გავხედოთ მათი წევრები, შევქმნით საკუთარი პროექტებიც, ვერბალური და პრაქტიკული თამაშების დახმარებით გავაზრეთ, რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს მოხალისე და, ამასთან, რა დადებითი მხარ-

**მარიამ თევზაძე,**  
მედიცინის ფაკულტეტის  
I სემესტრის სტუდენტი

**Medical Newspaper**  
Tbilisi State Medical University №8 (296) October, 2016  
Publishing since 1957

**The International Federation of Medical Students Associations**

The International Federation of Medical Students Associations (IFMSA) was founded in 1951 as an organization of the medical students, for the medical students, and by the medical students. For more than 60 years, IFMSA was led and run by medical students worldwide. The Federation has not only been a dynamic platform of opportunities for the future physicians but has also served as their voice at the international level. IFMSA is the worlds oldest and largest independent organization representing associations of medical students internationally. It currently maintains 127 National Member Organizations from more than 119 countries across six continents with over one million students represented worldwide. IFMSA

is recognized as a non-governmental organization within the United Nations system and the World Health Organization and as well, it works with the World Medical Association. IFMSA was created to impact the world and to empower its members in taking their vision and ideas, and making them a reality. IFMSA has inspired generations of medical students to develop the leadership abilities and skills to take on challenges and to improve the world around them in an early yet crucial period of their career. Engaging in IFMSA encourages both professional and personal collaborations irrespective of

geographical, social, cultural, religious, racial, sexual and political differences. As a result, future doctors are becoming more culturally aware and sensitive physicians. The IFMSA experience shows students that they are not merely passive subjects in a rapidly globalizing world but rather valuable individuals with a potentially powerful role to play in global health. IFMSA hence offers medical students a taste of the real and pressing health issues worldwide, and help them learn that their idealistic goals can be achieved with readily attainable knowledge and commitment. In IFMSA, the emphasis is placed on students returning to their local environments with new ideas and the skills to implement them. As the doctors of tomorrow and future leaders of health, we feel confident that our students will carry this spirit with them throughout their professional lives so that they positively impact the communities they serve. Objectives: To expose medical students to humanitarian and global health issues, providing them with the opportunity to educate themselves and their peers; To facilitate partnerships between the medical student community and international organizations working on health, education and medicine; To give medical students the opportunity to take part in clinical and research exchanges worldwide; To provide a network that links active medical students across the globe, including student leaders, project managers and activists, so that they can learn from and be motivated by each other; To provide an international framework in which medical student projects can be initiated, developed and implemented; To empower and train medical students to take a role in bringing about the necessary changes to improve the health of all global citizens.

**Nikoloz Gvazava**  
Student of Faculty of Medicine

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის V სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ზივზივადემ

# პოსტტრავმული კოქსართროზი და მისი მართვა




სურ. 1

პოსტტრავმული კოქსართროზი მიეკუთვნება დაავადებათა ჯგუფს, რომელიც პათოლოგიური პროცესები ერთდროულად მთელ კოქსარტროზში, ამ შემთხვევაში – მენჯ-ბარძაყის სახსარში.

წვევი სხვადასხვა მიზეზით, შესაძლოა მენჯ-ბარძაყის სახსარში განვითარდეს პათოლოგიური ცვლილებები ძვალ-ხრტილოვანი, მყეს-კუნთოვანი ან სინოვიალური ქსოვილი, რაც სანინდარია შემდგომში ნორმალური ქსოვილის ფიბროზულად გადაგვარებისა ან ქსოვილთა ჯგუფის ასეპტიკური ნეკროზის „განოვება“. მენჯ-ბარძაყის სახსარში პოსტტრავმული კოქსართროზის განვითარების მიზეზებია: 1. ბარძაყის თავის კონტრუზია. 2. ბარძაყის თავის ან ყელის მოტეხილობები. 3. ბარძაყის თავის ამოვარდნილობები (პოსტტრავმული). 4. ტაბუხის ფოსოს მოტეხილობები. ზემოთ ჩამოთვლილი, დაახლოებით, 75% შემთხვევაში, ხდება ამ მიდამოს (მენჯ-ბარძაყის) ავასკულარიზაციის მიზეზი, რაც შემდგომ ინვესს შუქცევადა პათოლოგიურ პროცესებს, რასაც მივყავართ ქსოვილების რეზორბციამდე და პოსტტრავმული კოქსართროზის ჩამოყალიბებამდე.

მნიშვნელოვანია ასეთი პაციენტების სწორი მართვა, რადგან ტრავმის მიღების შემდეგ, ვასკულარიზაციის დარღვევის დაგნოსტირება შეუძლებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლინიკურ სიმპტომატიკას, რომელიც



სურ. 2



სურ. 3

აუცილებლად გასათვალისწინებელია, მენჯ-ბარძაყის სახსრის ტრავმების შემდგომ, ასევე, მნიშვნელოვანია პაციენტის ინფორმირება პროგნოზის შესახებ, რათა მეტი ყურადღებით მოეპყროს საკუთარ მდგომარეობას.

პოსტტრავმული პერიოდში მნიშვნელოვანია შემდგომი სიმპტომატიკა: გამოხატული ტკივილი, რაც შესაძლოა გახდეს მიზეზი სიმპატიკური ინერვაციის გალიზიანებისა და შემდგომში სისხლძარღვის სპაზმისა; სახსარბოლო და სახსარში-და მოტეხილობები, ძვლის ან ხრტილის კიდიით დაზიანებები, რაც ინვესს სახსარში შემავალი ქსოვილების მექანიკურ გალიზიანებას, მიკროტრავმატიზაციას და ნეკროზს; სახსარშია და ან

სახსარბოლო ჰემატომები, ჰემატროზი, რასაც თავის მხრივ, მოსდევს ფიბრინის დალექვა, ასეპტიკური ანთეზა, სინოვიალურ ჩანთაში შეზორცებითი შვარტების განვითარება, სახსარე ჩანთის ელასტიურობის დაქვეითება და საბოლოოდ პოსტტრავმული ართროზის განვითარება.

დაგვიანებულ პერიოდში, სახსარში შემავალი ანატომიურ ელემენტებში მიმდინარეობს დეგენერაციულ-დისტროფიული ცვლილებები, რაც, თავის მხრივ, აღრმავებს ავასკულარიზაციას და ინვესს ქსოვილთა ასეპტიკურ ნეკროზს.

მიმდინარე პათოლოგიური პროცესების ჩამოყალიბებას სჭირდება გარკვეული დრო. ნაადრევ პოსტტრავმულ პერიოდს, როგორც წესი, თან ახლავს ნათელი პერიოდი რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს 4-6 თვეს, თუმცა, ნათელ პერიოდში ამის დიაგნოსტირება საკმაოდ რთულია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კონკრეტული პაციენტის დიაგნოზი, ტრავმის მექანიზმი, მკურნალობის ტაქტიკა და სხვა გარემო ფაქტორები.

პოსტტრავმული ართროზის მკურნალობა დღევანდელი მედიცინისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას, პროცესი მიმდინარეობს ჩვენგან დამოუკიდებლად, თუმცა, ექიმის დროულად ჩართულობის და სწორი მკურნალობის ტაქტიკის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია, თავიდან ავიცილოთ სახსრის ენდოპროტეზირება.

პოსტტრავმული კოქსართროზი ერთ-პედიულ ქირურგიაში აქტუალობას არ კარგავს, პირიქით, ბოლო დროს, ტრავმის შემთხვევების მატებასთან ერთად, მისმა სიმპტომებმა იმატა, რადგან ჩვენი განყოფილების ერთ-ერთ სტრატეგიულ რეაქციას წარმოადგენს რთული შემთხვევების თანამედროვე და ეფექტური მართვა, გვინდა წარმოგიდგინოთ საინტერესო შემთხვევა, რთული ანამნეზითა და შესანიშნავი გამოსავლით.

პაციენტი ჩ.ა. 58 წლის; ისტ. 1651/16. შემოვიდა კლინიკაში ჩივილით – ტკივილზე, მოძრაობის შეზღუდვასა და კოჭლობაზე მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის არეში. გადაადგილებისა და ექრდნობა ყავარჯენს, რაც იყო მიზეზი პაციენტის შრომისუუნარობისა.

კონსულტაციის და ანამნეზის შეკრების შემდგომ დადგინდა, რომ პაციენტს 22 წლის წინ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მიღებული აქვს მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის ტრავმა. მიიყვანეს ერთ-ერთი კლინიკაში, სადაც დაუდგინდა მარცხენა ბარძაყის ტრავმული ამოვარდნილობა, ზოგადი ანესთეზის შემდგომ განხორციელდა ბარძაყის თავის დახურული რეპოზიციკა. შემდგომ მკურნალობდა სტაციონარში ჩონჩხოვანი დაჭიმვით. გარკვეული პერიოდის შემდეგ გაეწერა ამბულატორიულ მკურნალო-



სურ. 4-5

ბაზე. აღინიშნებოდა ნათელი პერიოდი რამდენიმე წლის განმავლობაში, დაახლოებით, 7-8 წლის წინ, დაეწყო ტკივილები და უსამოვნო შეგრძნებები მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის არეში. რისთვისაც დიდად ყურადღება არ მიუქცევიდა, ბოლო დროს ტკივილმა იმატა, პაციენ-



სურ. 6

ტი დაკოჭლდა, მომართა ჩვენს კლინიკას შემდგომი სურათით. (სურათი 1.)

რენტგენოგრაფიაზე აღინიშნება პოსტტრავმული კოქსართროზი, სახსრის სრული ანკილოზით. კლინიკურად, მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსარში აღინიშნებოდა ქანქარისებური მოძრაობები. მეტი ინფორმაციისთვის და ოპერაციული ტაქტიკის განსაზღვრისთვის გაკეთდა კ.ტ. (სურათი 2.3).


შესაბამისი კლინიკური გამოკვლევების შემდგომ გადამწყდა მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირება, ასევე, გავითვალისწინეთ ტაბუხის ფოსოს პოროზის ხარისხი, რის გამოც მზად

იყო Burchshneider და Muller-ის რინგები ტაბუხის ფოსოს დამატებითი ფიქსაციისთვის (სურათი 4.5.).


პაციენტის მდგომარეობის გარჩევის შემდეგ, შედგა ოპერაციული ბრიგადა გიორგი ოგბაიძის, ლევან ჩიკვატას, რევაზ სულავას და დავით ზაქარაძის შემადგენლობით.

შესრულდა მარცხენა მენჯ-ბარძაყის უცემენტო ენდოპროტეზირება Zimmer-ის ენდოპროტეზით. ოპერაციის მსვლელობისას გადამწყდა, რომ დაყენებულიყო სტანდარტული ტაბუხის ფოსოს კომპონენტი, ზემოთ მოყვანილი ტაბუხის ფოსოს დამატებითი სტაბილიზატორები პაციენტს არ დასჭირვებია. წარმოდგენილია ოპერაციის მიმდინარეობის ფოტოები, სადაც ნათლად ჩანს ბარძაყის თავის ნეკროზი და ოსტეოფიტები, ასევე, ბარძაყის თავის დეფორმაციის ხარისხი (სურათი 6.7.8.9.).

ოპერაციის შემდგომი პერიოდი მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლად, პაციენტი ვერტიკალიზირებული იყო ოპერაციიდან მეორე დღეს რეაბილიტოლოგის მიერ, გაეწერა ამბულატორიულ მკურნალობაზე სტანდარტულად. წარმოდგენილია ოპერაციის შემდგომი რენტგენოგრაფია 3 თვეში (სურათი 10.). პოსტტრავმული კოქსართროზი, გახლავთ მენჯ-ბარძაყის ტრავმის შემდგომი ერთ-ერთი უხშირესი და უფერავესი გართულება, რისი გამოსწორება, ოპერაციული ჩარევითაც, ძალიან ხშირად, რთულია. აუცილებლად გასათვალისწინებელია პოსტტრავმული პერიოდის სწორი მართვა, ტკივილის დროული კუპირება, სისხლის მომარაგების გაუმჯობესების მენეჯმენტი, დროული იმობილიზაცია და შემდგომში დაზიანებული კიდურის რაციონალური დეტვირთვა, მექანიკური გამოზიანების არსებობის შემთხვევაში სახსარში, მისი დროული და მინინევაზიური ელიმინაცია. ასევე, პაციენტის ინფორმირება, თუ რა სირთულე შეიძლება გაჩნდეს შორეულ მომავალში, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლოა ავირიდოთ რთული ქირურგიული ჩარევები.




სურ. 7



სურ. 8




სურ. 9



სურ. 10

**გიორგი ოგბაიძე**, თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტრავმატოლოგია-ორთოპედის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ლევან ჩიკვატა**, თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტრავმატოლოგია-ორთოპედის დეპარტამენტის პირველი ტრავმატოლოგ-ორთოპედი; **გიორგი ოგბაიძის** დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; **რევაზ სულავა**, თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტრავმატოლოგია-ორთოპედის დეპარტამენტის პირველი ტრავმატოლოგ-ორთოპედი; **დავით ზაქარაძე**, თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტრავმატოლოგია-ორთოპედის დეპარტამენტის უმცროსი პირველი ტრავმატოლოგ-ორთოპედი.

## სიხვეუ აყხოვსში



2016 წლის 3 ოქტომბერს დასახელდა ნობელის პრემიის ლაურეატი მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგში – ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, იოსინორი ოსუმი (Yoshinori Ohsumi), რომელმაც აუტოფაგიის ტექნოლოგია აღმოაჩინა. ნობელის პრემიის კომიტეტი აღნიშნავს რომ ოსუმის აღმოჩენამ ჩვენს ცნობიერებაში ახალი მიდგომა დაამკვიდრა; ახსნა თუ როგორ გადაამუშა-

ვებს უჯრედი თავის შიგთავსს. მისი აღმოჩენა ფუნდამენტური მნიშვნელობისა და გამოდგება

პრობლემის ასნის გზა, მათ შორის, შიმშილთან ადაპტაციისა და ინფექციებზე პასუხის თვალსაზრისით.

აუტოფაგია ეს არის პროცესი უჯრედის არასაჭირო ნაწილაკების გადამუშავებისა. აუტოფაგიის ფუნქციონირება რომ არსებობს, ეს მეცნიერებმა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაადგინეს, მაგრამ მისი მექანიზმის არსში ვერ გაერკვნენ, რაც 90-იან წლებში შეძლო მეცნიერმა ოსუმმა, მანვე

აღმოაჩინა გენი, რომელიც აუტოფაგიაზე პასუხისმგებელი. ის 39-ე მეცნიერი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატთა შორის, რომელსაც პირველად გადაეცემა ეს ჯილდო. ბუნებამ თავად იზრუნა და უჯრედს მიაჩნა უნარი, გადაამუშაოს რაც არა-

ტკივილის გამოწვევ ბაქტერიებსაც. ამდენად, შიმშილი და მარცვა ორგანიზმს რეალურად ასუფთავებს და სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ეს ნობელის კომიტეტმა დაადასტურა. როგორც ოსუმი და მისი კოლეგები ამტკიცებენ, აუტოფაგია ნაადრევი

სიბერისგანაც იცავს ორგანიზმს, აახალგაზრდავებს კიდევ, რაკი ებრძვის არასაჭირო და დეფექტურ ცილებსა და უჯრედის შემადგენლებს. აუტოფაგია პროცესის მოშლის შედეგად ჩნდება დაიბეტი, პარკინსონი და ავთვისებიანი სიმსივნეებიც კი. ამის გათვალისწინებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა წამლის შესაქმნელად,


რომელიც აუტოფაგიას შეუნეოს ხელს და ჩამოთვლილ დაავადებებს „განაკურნავს“.

იოსინორი ოსუმი 8 მილიონ შედურ კრონს მიიღებს სხვა ლაურეატებთან ერთად სტოკჰოლმში, 2016 წლის 10 დეკემბერს.

## 2016 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი

მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის სახსნელად მომავალში, მასზე დაყრდნობით უკვე გამოიკვება არაერთი

საჭირო და გამოუსადეგარია. უჯრედი ისევე „მოქმედებს“, როგორც ადამიანი, ოღონდ – ავტომატურად; „ნარჩენებს“ სპეციალურ „პარკებში“ – აუტოფაგოსომებში „ფუთავს“, „ათავებს კონტენერში“ – ლიგოსომებში, სადაც ყველა ნარჩენი იშლება და გარდაიქმნება. გადაამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი გამოიყენება როგორც უჯრედის სიცოცხლისთვის საჭირო სანავი. აუტოფაგიის წყალობით უჯრედი ებრძვის ტოქსინებსა და ინფექციას. აუტოფაგია გააქტიურებული მოქმედებს, როცა ორგანიზმი სტრესს განიცდის. მაგალითად, შიმშილისას. ამ დროს უჯრედი ინტენსიურად გადაამუშავებს ნარჩენებს, მათ შორის, –



# მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი – 2016

17-25 სექტემბერს ჩატარდა მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი – 2016. მასში აქტიურად იყო ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელიც არაერთი საინტერესო ღონისძიებით წარმოადგინა ფესტივალზე.

17 სექტემბერს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა სახელმძღვანელოების: „გენეტიკა მედიცინაში“ (2015 წლის მე-8 გამოცემა) და „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები“ – პრეზენტაცია; მოუწყო თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის თვალსაჩინოებების მულაჟების და სიმულატორების, ასევე, იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტული პროდუქციის გამოფენა – „მცენარიდან პაციენტამდე“.

ღონისძიებები 20 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაგრძელდა. კონფერენცია-წარმოდგენაზე – „ტრადიციული მედიცინა – უნივერსიტეტის უცხოელმა და ქართველმა სტუდენტებმა საქართველოში, ინდოეთის, თურქეთის, შრი-ლანკის, ერაყის, იორდანის, ეგვიპტის, ნიგერიის ტრადიციული მედიცინა და მისი ისტორია გააცოცხლეს სცენაზე.

სამედიცინო ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორმა, დავით ცხოველიძემ, წაიკითხა საჯარო ლექცია „უჯრედი და გენეტიკური პროგრამები“. სალექციო თემატიკამ დიდი დინამიკა გამოიწვია აუდიტორიაში.

ფესტივალის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოლოგიის მუზეუმმა უმასპინძლა საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს. მუზეუმში წარმოდგენილი იყო საქართველოს ფლორისა და ფაუნის უნიკალური ექსპონატები. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ჩატარდა ლია კარის დღე – „ფარმაციის საოცარი ზედა“. სტუმრებს ინსტიტუტის ისტორია და ტრადიციები გააცნო ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნანა

გორგასლიძემ. დამთვალეებებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ სამკურნალო საშუალებებზე მუშაობის სხვადასხვა პროცესი.

ლექციაზე – „რა საიდუმლოს გვიმხელენ მიცვალებულები“ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა, ბესიკ კლასონიამ, ისაუბრა გვამის ექსპერტიზით მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობაზე დაბაშაულის გამოძიების საქმეში. ლექციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

21 სექტემბერს თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა, ელენე აბზიანიძემ, წაიკითხა ლექცია: „ღირს თუ არა გავშიფროთ საკუთარი გენომი“.

ლექციაზე ყურადღება გამაზვილდა ადამიანის გენომის არსსა და მისი გამოყენების მნიშვნელობაზე. ადამიანის გენომის შესწავლამ სათავე დაუდო პერსონალიზებული მედიცინას, რომელიც XXI საუკუნის მედიცინად

არის მიჩნეული. ჩატარდა ვორკშოპი – „საჩუქრად საკუთარი დნმ“. სტუდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ვორკშოპში, გადაეცათ საკუთარი დნმ, რომელიც ღონისძიების პროცესში იქნა გამოყოფილი.

21 სექტემბერს თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრში ჩატარდა ტრენინგი – „ბიოსამედიცინო კვლევის პრაქტიკული საკითხები“. ვორკშოპი – „ოჯახის აფთიაქი“ – მედიკამენტების გამოყენებით პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებს მიეძღვნა.

ფესტივალის ფარგლებში თსსუ-ში ჩატარდა კონფერენცია – „ბიოტექნოლოგია და პერსონალური მედიცინა“. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა თსსუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია.

ბიოტექნოლოგიის განვითარების შედეგები მოიცავს მრავალ სფეროს, მათ შორის, მედიცინას. სამედიცინო ბიოტექნოლოგიების და ფარმაკოგე-

ნომიკის მიღწევებს; აღინიშნა, რომ ნამლის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს როგორც დაავადებასთან დაკავშირებული, ისე პაციენტის ინდივიდუალური გენეტიკური მახასიათებლები.

ღონისძიებებზე – „ჯანსაღი ცხოვრების წესი – მეცნიერული მტკიცებულებები და საკამათო საკითხები“, რომლის ორგანიზატორი იყო თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი, საუბარი ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორც: ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მის დარღვევასთან ასოცირებული დაავადებების პრევენცია და მკურნალობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებები შეაჯამეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რომა ბერიანიძემ და თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ლუიზა გაბუნიაძემ.



სმოვნა

## გ უ ტ ა მ ც ა ც ი მ ე უ ი ლ ი



ლი, რომ პროფესიული საქმიანობა ქირურგიისა და ქირურგიის სწავლებისადმი მიეძღვნა; და ეს ასევე მოხდა: საექიმო, პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში ბატონ გურამს თავის დროზე გაკეთებული არჩევანისათვის და საქმისთვის არასდროს უღალატა.

ბატონმა გურამმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განვლო აკადემიური კარიერის ყველა საფეხური: ბრძანდებოდა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი (1957-59), დოცენტი (1959-70), პედაგოგის ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი (1970-74), ამვე კათედრის გამგე (1974-84), სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიის №3 კათედრის (სუბორდინატორთათვის) გამგე (1984-2004). მნიშვნელოვანია, რომ ბატონ გურამ ტატიშვილს, ჰქონდა რა აქტიური და შეუპოვარი მოქალაქეობრივი პოზიცია, საექიმო თუ პედაგოგიური საქმიანობის თითქმის ყველა საფეხურზე ეკავა საკვანძო ადმინისტრაციული თუ საორგანიზაციო თანამდებობები: ორმოცდაათიანი წლების ბოლოს იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი მთავადილე, შემდეგ ჯერ სან-პიტირეუსი ფაკულტეტის, მოგვიანებით – სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სასწავლო-მედიკალურ საბჭოს, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს ქირურგიული პროფილის დისციპლინებში.

ბატონ გურამს კიდევ უფრო სერიოზული და რთული ამოცანების შესრულება ელოდა: 1960 წელს იგი საქართველოს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. 1969-74 წლებში ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანოთა კონსერვატივის ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო, 1980-87 წლებში – საქართველოს რესპუბლიკის მთავარი ქირურგი.

ამავდროულად, ბატონი გურამი ინტენსიურ კვლევით მუშაობას ეწეოდა, რისი კანონზომიერ შედეგიც იყო 1968 წელს მის მიერ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვება.

ბატონი გურამი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 5 მონოგრაფიის და 14 გამოგონების ავტორია. მისი ხელმძღვანელობით მსრულებულია 22 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი გურამი ავტორია წიგნის – „უამი ფიქრის, მოგონების და განსწავლს“. ეს ნამუშევარი, რომელიც მან ოთხმოც წლის თავზე წარუდგინა საზოგადოებას, საქართველოში მედიცინისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების განვითარების სოლოდური მონაკვეთის მატჩანაა. ბატონი გურამი ყმანალობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით საკუთარი ოჯახის და საზოგადოების წინაშე. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ წიგნი ალსაყვავა პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმის, ადამიანური პასუხისმგებლობის და სიყვარულის ნიმუშებით; დარწმუნებული ვართ, ბატონი გურამის ეს დანატოვარი ძალიან დიდხანს იქნება მორალური ორიენტირი ახალგაზრდებისათვის ცხოვრებისეულ თუ პროფესიულ ლაბირინთებში გარკვევისათვის.

ბატონ გურამს ბევრი ტკივილი შეხვდა, მათ შორის – გაუსაძლისი... უდროოდ წავიდა მისი უფროსი ვაჟი გიორგი ტატიშვილი – სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის დოცენტი; საზოგადოება შეძრა ბატონი გურამის შვილიშვილის, უმშვენიერესი სალომეს, ტრაგიკულმა წასვლამ... ცხოვრების ამ უსამართლო დარტყმებს ბატონი გურამი ვაჟკაცურად დახედა, ისე, როგორც მას სწევოდა.

პროფესორი გურამ ტატიშვილი ბოლო დღემდე – ამ სიტყვის პირდაპირი და სრული გაგებით – აქტიურად იყო ჩართული მისი Alma Mater-ის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მისი სიტყვა უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოში იყო ყოველთვის საქმიანი, ობიექტური და სანდო; ბატონი გურამის როლის გადაფასება საქართველოს ქირურგთა ასოციაციის მუშაობის გააქტიურებაში და პერიოდული დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალ „ქირურგიის მაცნეს“ გამოცემაში უზრალოდ შეუძლებელია. იგი ამ საქმის სულისჩამდგმელი და ლოკომოტივი იყო, რაც, დაგვეთანხმებით, არაა ხოლი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეულ წევრს – დიდს თუ პატარას – ყოველთვის ჰქონდა გურამ ტატიშვილის იმედი, ენდობოდა მის სიტყვასა და საქმეს, რომელნიც, როგორც წესი, არ შორდებოდა ერთმანეთს.

პროფესორმა გურამ ტატიშვილმა თავაწეულმა ატარა ჯერ დიდი სამედიცინო ოჯახის წევრის, შემდეგ კი – ოჯახის ბურჯის საპასუხისმგებლო ტვირთი, რთაც მისაბამი მაგალითი მისცა მის მრავალრიცხოვან და საბაშო შთამომავლობას, მოსწავლეებს, თითოეულ ჩვენგანს.

ბატონი გურამი ბრძანდებოდა სამაგალითო მეთულე, მამა, ბაბუა, დიდი ბაბუა, პროფესიონალი, მასწავლებელი, მეგობარი, კოლეგა, გულშემატკივარი ლხინსა თუ ჭირში; იგი პატეს სცემდა წარსულს, აქტიურად ემსახურებოდა აწმყოს და ამიტომაც იყო დასაყდენი მომავალი თაობისათვის. „ტრადიციებით მომავლისკენ“ – ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლოზუნგია, რომლის თვალსაჩინო განსახიერება იყო პროფესორ გურამ ტატიშვილის ხანგრძლივი ცხოვრება, ექვს ათეულ წელსაღამეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიული და საზოგადოებრივი აქტივობა.

ძალიან ვწუხვართ, რომ დღეიდან ტატიშვილთა ღვანღმოსილ გვარს, ვისი სხოვნის წინაშე სამედიცინო უნივერსიტეტი ქედს იხრის და განუზომლად მაღლობულია განუწელი ამაყისა და თანადგომისათვის, შეემატა ბატონი გურამ ტატიშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მაღლობას მოახსენებს პროფესორ გურამ ტატიშვილს სიყვარულისთვის და უდიდესი გულსიტკვილით ემშვიდობება მას.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**



# უადიმ სააკაძის მისი ავტობიოგრაფია



ორიოდე თვეა, რაც ჩვენ შორის აღარ არის საქართველოს სამედიცინო განათლების პატრიარქი, ღვანთმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პროფესიული მედიცინის მეცნიერებათა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვადიმ სააკაძე.

ბატონმა ვადიმმა სრული ოთხმოცდახუთი წელი განვლო კეთილსინდისიერ შრომასა და ძიებაში, ცხოვრებისეულ შეჭირვებასა თუ სიხარულში და ეს ყოველივე გაუღწეველი იყო სრულიად გამორჩეული, გულწრფელი და უკიდევანო ჰუმანიზმით.

ვადიმ სააკაძე დაიბადა თბილისში, 1931 წლის 21 მაისს. 1956 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ, პროფესიული საქმიანობა დაიწყო რუსთავეის საავადმყოფოს თერაპიის განყოფილებაში, ჯერ ორდინატორად, უფროს ორდინატორად, შემდეგ კი – განყოფილების გამგედ.

ვადიმ სააკაძემ პროფესიული დოკტორატის სკოლა - უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან პროფესორულ დაავადებათა განყოფილების გამგის თანამდებობამდე ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში განვლო, სამედიცინო

ხარისხი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატისა, შემდეგ კი — მეცნიერებათა დოქტორისა მოსკოვში დაიცვა; ამ პერიოდიდან დამკვიდრდა მისი პროფესიული და აკადემიური სიტყვის შეუვალი ავტორიტეტი და ჩამოყალიბდა ნაყოფიერი საერთაშორისო სამედიცინო კონტაქტები.

მისი სამედიცინო კვლევის ინტერესი საქართველოში გავრცელებული პროფესიული დაავადებების ფართო სპექტრი იყო, ყველაზე ნაყოფიერად მუშაობდა პროფესიული პათოლოგიის ახალი სამედიცინო მიმართულების — პროფესიული ალერგოლოგიის დაფუძნებასა და განვითარების სფეროში. მისი დაუღალავი მოღვაწეობის ნაყოფია 240-ზე მეტი გამოქვეყნებული სამედიცინო ნაშრომი, პროფესიულ ალერგოლოგიაში მომუშავე სპეციალისტთა მთელი სკოლა. ჯერ კიდევ ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, მისი პედაგოგისა და უფროსი კოლეგის, საქართველოში პროფესიულ დაავადებათა კვლევის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ სალომე ყიფიანის ინიციატივით ბატონი ვადიმე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში; 1973 წლიდან კი, პროფესორ მეღვინე ყურაშვილის რეკომენდაციით და თანადგომით, ბატონი ვადიმის საქმიანობა მთლიანად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს (ამჟამად - უნივერსიტეტს) დაუკავშირდა და ასე იყო მისი სიცოცხლის ბოლომდე. შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრაზე მას ჯერ დოცენტის, შემდეგ პროფესორის თანამდებობა ეკავა; 1991 წლიდან, თერთმეტი წლის განმავლობაში, კი თავად განაგებდა ამ კათედრას.

სამედიცინო უნივერსიტეტში ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ვ. სააკაძე წლების განმავლობაში ნარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ, სამედიცინო და ადმინისტრაციულ დატვირთვას. იგი მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ სპეციალისტ-პროფპათოლოგად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წლების მანძილზე იყო: სამედიცინო განყოფილების გამგე, სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, შემდეგ — თავმჯდომარე; სამედიცინო ნოდებების მიმნიჭებელი პროფესორთა საბჭოს სწავლული მდივანი; პროფესიული

მედიცინისა და სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილების გამგე; გამომცემლობისა და „საქართველოს სამედიცინო ენციკლოპედიის“ სარედაქციო საბჭოს სწავლული მდივანი; რექტორის აპარატის რედაქტორ-ანალიტიკოსი.

მეტად პატივსაცემია ბატონი ვადიმის პედაგოგიური მოღვაწეობა. დასვენებით დაქტიკური მანერით, აზრითა და ემოციით დამუხტული მისი ლექციები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დატულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სამედიცინო სამედიცინო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებისა და საბჭოების წევრად, უნივერსიტეტის სამედიცინო კრებულების სწავლულ მდივანად. მისი თითოეული პუბლიკაცია თუ საჯარო გამოსვლა გამოირჩეოდა აკადემიურობით, პრობლემური საკითხების რელიეფურად დასმითა და გადაწყვეტის გზების შეთავაზებით. ოპონენტებთან კორექტულ, მაგრამ პრინციპულ მოკამათეს, ყოველთვის ჰქონდა ალტერნატიული აზრის მოსმენისა და კონსტრუქციული განსჯის შესანიშნავი უნარი. ბატონი ვადიმე ბრძანდებოდა გამორჩეული აკადემიური წერის კულტურის მქონე ექიმი, პედაგოგი და მეცნიერი.

ვადიმ სააკაძის ავტორობითა და თანავტორობით შექმნილი მრავალრიცხოვანი სამედიცინო ნაშრომთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 5 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო, რომელთაგან ერთ-ერთისთვის („პროფესიული დაავადებები“) მას მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ილარიონ ქართველის პრემია და გადაეცა დიდი ვერცხლის მედალი (2002 წ.), რითაც გამორჩეულად ამაყობდა. ბატონი ვადიმის მიერ ცხოვრების ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაკეთებული მნიშვნელოვანი არჩევანის ფონზე ნათელია, რომ ეს ჯილდო განსაკუთრებით ახლოს იყო მის მრწამსსა და მსოფლმხედველობასთან. ამ შტრიხის გარეშე მისი პორტრეტი სრული არ იქნებოდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

# გულისცვივლით ვისსუნებო...



ერთი წელი გასრულდა იმ ოქტომბრიდან ამ ოქტომბრამდე, რაც სხვა სივრცეში გადაინაცვლა და საბოლოოდ განგვემორა... დღე არ გადის, რომ არ გავახსენდეს, არ მოვიხსავსოთ — ერთად განვლილი სარედაქციო მუშაობის წლები ათას წერილმანს ვახსენებს, სახალისოვანი და გულსატკეპნო, სხვანაირად გაზეთის შექმნა შეუძლებელია...

...რამდენი ხანი ჩამდგარა ჩვენ შორის — მონატრებით სავსე დროისა და სივრცის დამტვე ერთი წელი. ბერძენი და, ალბათ, ცოტაც იგი, ვისთვის უცებ ჩაქროლილ-ჩაფერფლილი, ვისთვისაც — ნაბიჯ-ნაბიჯ გაუქვლილი...

...და როგორც არ უნდა იყო, ტკივილიანი განცდით მოგვადგა ისევ ოქტომბერი, შემოდგომის ლამაზ გარემოსთან ნაღვლით შესუდრული...

გულისტკივილით და სიყვარულით ვისსუნებო ქალბატონს, რომელიც 1979 წლიდან 2015 წლამდე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, შემდგომ — უნივერსიტეტის გაზეთს;

დალი გაბეზა ჩვენი უფროსი მეგობარიც ვახლდათ, თითქმის ოთხი ათეული წელი ხელმძღვანელობდა გაზეთს, იბრძოდა, ერთ-ერთად ემსახურებოდა, ქედს არ იხრიდა, ცდილობდა, რეალურად ეთქვა ის, რაც იყო... იყო იმედგაცრუებაც, ხშირად კი — სიხარული — საჭირო დროს და ადგილას სწორად ნათქვამ-ნაფიქრის შედეგად მოგვიჩვენებოდა; ეროვნული ფასეულობანი ეძვირფესებოდა; პირნათელი იყო ოჯახის, სამეგობროს, სანათესაოს, თანამშრომლების ნინამე... ადამიანური ღირებულებანი სტიმულს აძლევდა უკეთესის საკეთებლად, ისე რომ, სხვებისთვისაც გადაამდები გამხდარიყო მისი მაგალითი...

...მისი მოულოდნელი, მძიმე დიაგნოზი დაუჯერებელი აღმოჩნდა ჩვენთვის, აღსასრული კი — მით უფრო; მისი ჯანმრთელობის და შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის სიკვდილის მცნება შეუთავსებლად წარმოგვედგინა. სულ გვექონდა იმედი, თუნდაც, — პანანინა, რომ იგი, როგორც ყოველთვის, ყველა სიძნელეს დაძლევა და ისევ დაგვიბრუნდებოდა; დაუბრუნდებოდა ოჯახს, უნივერსიტეტს, რომელიც ასე უყვარდა; სარედაქციო საქმიანობას; ჩვენ, თანამშრომლებს — წლებმა, ერთობლივმა მუშაობამ, მყარი მეგობრობა რომ ჩამოგვიყალიბა...

რეანიმაციის განყოფილებაში მყოფი, ჩვენს იქ ყოფნას რომ შეიტყო, სიხარული უნათებდა თურმე უიმედობისგან ჩამქრალ თვალს; ყველა ახლობელზე მეტად თავად გრძობდა მთავრობებზე აღსასრულს, მაგრამ ახლობლებს არ აგრძობინებდა, მისთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანებს უფრთხილდებოდა...

ასეთი იყო, სხვებზე მზრუნველი, სიკეთის უშურველად გამცემი, მძიმე წუთებშიც კი სხვაზე მოამაგე. ამიტომაც იყო ბუნებრივი, რომ მისი განსაცდელი თითოეული ჩვენგანის განსაცდელია იქცა.

და ასე, მოჭიატე იმდენს ამარანი ვიყავით ყველანი, იქნებ იგი — ყველას დამხმარე და შემწე ქალბატონი — გადარჩენილიყო, იქნებ ექიმები შეცდნენ. იქნებ... 9 ოქტომბერს ეს იმედი ჩაქრა და დარჩა მარადიულობაში გარდასული კეთილი მოგონება მასზე, როგორც სულგამელ, სიმართლისთვის მებრძოლ ადამიანზე, მოყვასისთვის თავგანწირულ და თანამდგომ პიროვნებაზე...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

# გუტამ სეხნიამელი



ბატონი ზურაბ სეხნიამელი — ქართველ მედიკოსთა, ქართველ ენდოკრინოლოგთა ოჯახის ღირსეული წევრი, ამ სვედიანი წერილის-მოგონების მკითხველთაგან ბევრის კოლეგა, ახლობელი, მასწავლებელი, უფროსი მეგობარი, გულშემატკივარი, ექიმი — უპირობოდ არის და მუდამ დარჩება მედიცინის ამა თუ იმ სფეროში, განსაკუთრებით — უმალეს სამედიცინო განათლებაში მოღვაწე ექიმების მესხიერებაში.

ზურაბ სეხნიამელის ახლობელთა და ქომაგთა წრეში 2016 წლის აგვისტო - როდესაც იგი მინიერი ცხოვრებიდან წავიდა - ტკივილის მომგვრელი გახდა. არადა, სულ ერთ თვეში, 20 სექტემბერს, ბატონი ზურაბი 71 წლის გახდებოდა; ეს საერთოდ არ არის დიდი ასაკი, მით უფრო, ისეთი ენერჯის და ადამიანების სიყვარულის უნარის მქონე პიროვნებისათვის, როგორც ზურაბი ბრძანდებოდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ენდოკრინოლოგიის კურსის უცვლელი ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროექტორი სასწავლო მუშაობის დარგში, საქართველოს ბავშვთა მთავარი ენდოკრინოლოგი, ბავშვთა რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური ცენტრის და ნუტრიციოლოგიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო თირეოიდოლოგიური ასოციაციის წევრი, დიაბეტთან ბავშვთა დაცვის ასოციაციის წევრი, არაერთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მოღვაწე ადამიანი, ენდოკრინოლოგიაში მრავალი საერთაშორისო სამედიცინო ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილე, ღირსების მედლის მფლობელი — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ფორმალური დამსახურებებისა, ბატონი ზურაბის სახელს რომ უკავშირდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (მაშინ — სამედიცინო ინსტიტუტის) დამთავრების შემდგომ, 1970 წლიდან, მან სულ ცოტა ხანი იმოღვაწა მისი Alma Mater-ის გარეთ: მუშაობდა ლიკანის სანატორიუმში, შემდეგ — თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. 1980 წლიდან კი იგი სამედიცინო ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრაზე იწყებს მუშაობას და ამ საქმეს ემსახურა ბოლომდე.

ზურაბ სეხნიამელი ბრძანდებოდა საქართველოში იოდდეფიციტურ დაავადებათა ლიკვიდაციის კონცეფციის ავტორი. მისი ხელმძღვანელობით და UNICEF-ის ხელშეწყობით ნუტრიციოლოგიის ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს მასშტაბით ფუნდამენტური კვლევა ჩაატარა, რისი ერთ-ერთი შედეგაც იყო, პირველად საქართველოში, იოდდეფიციტის ჯგუფური პროფილაქტიკა. ამ პროგრამის ფარგლებში მძიმე იოდდეფიციტურ რეგიონებში რისკ-ჯგუფის წევრები უზრუნველყოფილი იყვნენ იოდირებული ზეთის კაფსულებით; ამ მასშტაბურ აქციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის ამ მონყვლადი ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ნუტრიციოლოგიის ეროვნული ცენტრი, ზურაბ სეხნიამელის ხელმძღვანელობით, სა-

ქართველოს ყველა რეგიონში ახორციელებდა პრევენციულ და სამკურნალო აქტივობებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახელმწიფო აღსაზრდელებში.

ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით მოზადდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი, იგი ბრძანდებოდა ორმოცდაათამდე სამედიცინო პუბლიკაციის, მონოგრაფიის („დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი“) და სახელმძღვანელოს („იოდდეფიციტური დაავადებები“) ავტორი.

ამიტომ, სრულიად დამსახურებული და კანონზომიერი იყო, რომ ზურაბ სეხნიამელი საქართველოში მაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობაში, მათი ინსულინით უზრუნველყოფაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, 2001 წელს ღირსების მედლით დაჯილდოვდა.


ბატონი ზურაბის გარდაცვალებიდან 40 დღე სულ ცოტა ხნის წინ გავიდა... ჯერ ძალიან მწვავე ეს ტკივილი. რაც დრო გადის, უფრო მეტად ვგრძობთ და გვტოვა გული, რომ ბატონი ზურაბი წავიდა პროფესიული სიმნიშვნის ხანაში, როდესაც მას კიდევ ეფექტურად შეეძლო დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების და სიყვარულის უშურველად გატემა პაციენტებისთვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, კოლეგებისა და ახლობლებისთვის. ძალიან დასანანია, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ზურაბ სეხნიამელი — გამორჩეულად გულითადი, ხალისიანი, საიმედო, გულგამილი, ლხინისა თუ ჭირში გვერდში მდგომი, თბილი ადამიანი, დიდთან — დიდი, პატარასთან — პატარა...

ნათელში იყოს თქვენი სული, ჩვენო ბატონო ზურაბ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს თქვენ უყვარხართ და ემსახურებთ მუდამ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მანანა ზსალაძე დარეჯან კოშლაძე ნათო პოლქვაძე



### აქიზიზიანი კაციენტობა

„...დაზიანებული ქვედა კიდურები, თუმცა, სხვა მხრივ, - ჯანმრთელი“, - ნათქვამია 13 წლის ფრიდრიკ შილერის ჯანმრთელობის ცნობაში, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთგვარი ტრაგიკული ალბერტილი. დის ნაამბობით, იგი ჯერ კიდევ სულ ადრეული ასაკიდან იყო ფაქიზი და სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვი (შემდგომ, სამხედრო სკოლაში ორი წლის მანძილზე სწავლისას ის შვიდჯერ ინვალიდობდა, ხშირად - ხველებით და კატარით). მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული სამედიცინო დასკვნა, გარკვეულწილად, გახდა 14 წლის შილერის მომავლის ერთგვარი განმსაზღვრელი. მას ღვთისმეტყველების მოსამზადებელი კურსის გავლა სურდა, მაგრამ, ვიურტემბერის პრინციპის აკვირებულმა სურვილის გათვალისწინებით, იძულებით შეიყვანეს სამხედრო აკადემიაში, სადაც პრინციპის ერთგულ და ყურმოჭრილ ვასალს უნდა დანიშნულიყო. პრინციპის მიერ დაარსებულ შტუტგარდის სამხედრო აკადემიაში ცდილობდნენ ჩანასახშივე ჩაეხშოთ ნებისმიერი სწრაფვა თავისუფლებისკენ. პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შილერი იძულებული იყო იურისდიქციის განყოფილებაზე მშრალი კოდექსები თუ პანდექტები ეუბნებინა. „შენი ფრიდრიხისგან აღარაფერი დარჩა“, - წერდა მეგობარს მოსწავლე შილერი. მალე მას მოუხდა სამედიცინო განყოფილებაზე გადასვლა და ეს ცვლილებაც პრინციპის სურვილით განხორციელდა, რომელიც მიიჩნევდა, რომ მის მამულში ისედაც საკმარისად იყვნენ იურისტები. თუმცა შილერი მედიცინის შესწავლას სერიოზულად მოეკიდა. მოგვიანებით, საუბრობდა რა თავის პროფესიაზე, აღნიშნავდა, რომ მედიცინა, თავისი შინაარსით, უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული პოეზიასთან, ვიდრე - იურისპრუდენციასთან.

სრულად გამოყენებინა და თავად მიეხედა საკუთარი თავისთვის: შეადგინა სპეციფიკური კვების რეჟიმი, დაიწყო სამკურნალო მცენარეების ჩართვა ყოველდღიურ რაციონში, თუმცა უკეთესობას ვერ გრძობდა. მისი მამა, ყოფილი სამხედრო ექიმი, უკმაყოფილებას ვერ მალავდა შვილის უშედეგო მცდელობის გამო. გამოჯანმრთელებას განსაზღვრულზე გაცილებით დიდი დრო დასჭირდა და ესეც ხანმოკლე აღმოჩნდა.

1789 წელს შილერმა იენის უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვა ფილოსოფიის პროფესორის რანგში, თუმცა მალევე გახდა იძულებული შეენეციტა პედაგოგიური მოღვაწეობა სასუსთეი გზების დაავადების გართულების გამო. დაუდგინდა ფილტვების ანთება - ხანგრძლივ ხველებს და ცხელებს თავი დიდხანს ვერ დააღწია. ჯანმრთელობის ოდნავი გაუმჯობესებისთანავე დაუბრუნდა პედაგოგიურ საქმიანობას, რაც დიდხანს არ დასცალდა და ავადმყოფობამ უკვე ლოგინად ჩააგდო. „მორიგე“ სტუდენტებს შორის, ვინც არ ტოვებდა პედაგოგს განსაცდელის ფაშს, ახალგაზრდა ნოვალისიც იყო, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ტუბერკულოზმა იმსხვერპლა. ამჯერად შილერი თავს ისე ცუდად გრძობდა, რომ თვითმკურნალობას არჩია ექიმისთვის

სრულად გამოყენებინა და თავად მიეხედა საკუთარი თავისთვის: შეადგინა სპეციფიკური კვების რეჟიმი, დაიწყო სამკურნალო მცენარეების ჩართვა ყოველდღიურ რაციონში, თუმცა უკეთესობას ვერ გრძობდა. მისი მამა, ყოფილი სამხედრო ექიმი, უკმაყოფილებას ვერ მალავდა შვილის უშედეგო მცდელობის გამო. გამოჯანმრთელებას განსაზღვრულზე გაცილებით დიდი დრო დასჭირდა და ესეც ხანმოკლე აღმოჩნდა.

1789 წელს შილერმა იენის უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვა ფილოსოფიის პროფესორის რანგში, თუმცა მალევე გახდა იძულებული შეენეციტა პედაგოგიური მოღვაწეობა სასუსთეი გზების დაავადების გართულების გამო. დაუდგინდა ფილტვების ანთება - ხანგრძლივ ხველებს და ცხელებს თავი დიდხანს ვერ დააღწია. ჯანმრთელობის ოდნავი გაუმჯობესებისთანავე დაუბრუნდა პედაგოგიურ საქმიანობას, რაც დიდხანს არ დასცალდა და ავადმყოფობამ უკვე ლოგინად ჩააგდო. „მორიგე“ სტუდენტებს შორის, ვინც არ ტოვებდა პედაგოგს განსაცდელის ფაშს, ახალგაზრდა ნოვალისიც იყო, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ტუბერკულოზმა იმსხვერპლა. ამჯერად შილერი თავს ისე ცუდად გრძობდა, რომ თვითმკურნალობას არჩია ექიმისთვის

### ნარმატაჟული პროფესიონალი

თეორიული, განსაკუთრებით - კლინიკური მედიცინის შემდგომი პროგრესი, მნიშვნელოვნად ეხმარება სპორტულ მედიცინას და სპორტსმენთა კომპლექსურ გამოკვლევებს მკურნალობისა და რეაბილიტაციის საკითხების თანამედროვე დონეზე გადასაჭრელად, მაგრამ, სამწუხაროდ, მედიცინის ამ დარგში იშვიათად მოიძებნებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა შორის აღსანიშნავია მედიცინის დოქტორი ზურაბ კახაბრიშვილი.

დეფიციტს განიცდიდა - მრავალი წლის განმავლობაში ნამყვანი გუნდები ვარჯიშობდნენ კვალიფიციური სპეციალისტების გარეშე. დღისთვის ეს პრობლემა შეიძლება გადაწყვეტილად მივიჩნიოთ, თუმცა, იგი მანც მეტ სრულყოფას საჭიროებს.

სპორტსმენთა მომზადებაში, მწვრთნელთან ერთად, სპორტის ექიმის როლი უაღრესად დიდია და სწორედ ზურაბ კახაბრიშვილი ის პირველი ექიმი, რომელმაც დაამკვიდრა ქართველი სპორტსმენებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის განვითარება (ტაიმინგის) და, უშუალოდ, შეხვედრების (სპარინგების) დროს მათი ბრძოლისუნარიანობის გასაზრდელად. აღსანიშნავია, ბატონი



ზურაბის ბოლოდროინდელი ნარმატაჟული პროფესიონალი ჩვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, იშვიათად მინახავს ზურაბ კახაბრიშვილის მსგავსი ენერჯის მქონე ადამიანი, იგი ბევრს ასწრებს - დავსწროს სპორტსმენთა წვრთნას სპორტის სახეობათა მიხედვით, ასევე, მათი მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესს, შეხვედრებს, საინტერესო ლექციების კითხვას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას, კოლეგებისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენას. იგი მონაწილეობდა იმ სამეცნიერო ჯგუფის მუშაობაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი; მის მიერ შესრულებული მრავალი მეცნიერული შრომა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა გამოქვეყნებული, ამასთან, თანავესწრება სპორტულ მედიცინასა და კინეზოთერაპიაში სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო.

ბატონი ზურაბის თაოსნობით და აქტიური მონაწილეობით, გუნდებში სპორტის სახეობათა მიხედვით, განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის (დეკანი, პროფესორი ლ. მასხალია) კურსდამთავრებულების განაწილება. სამწუხაროდ, საქართველო სპორტული მედიცინის ექიმების

### გოეთესა და შილერის ძეგლი ვაიმარში




მიემართა. მკურნალობა დაენიშნა მედიკამენტებით, რომელიც უფარგისი სისხლის და სითხის გამოდევნას უწყობდა ხელს ორგანიზმიდან. ამაზე ფიზიკურად კიდევ უფრო დასუსტა ისედაც უძლური პაციენტი. ხანმოკლე გამოჯანმრთელების შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო: სუნთქვა ისე უძიმდა, თითქოს ყოველ ჯერზე ფილტვებში რაღაც „იმსხვერპოდა“. ძლიერ ხველებას კრუნხვებამდე მიჰყავდა და საშველი არსადაც ჩანდა. მისი გართულებული ავადმყოფობის შესახებ ყველამ შეიტყო, მეტიც: მაშინდელი ბექდური გამოცემა პოეტის გარდაცვალების შესახებ იტყობინებოდა და სამგლოვიარო ღონისძიებებიც კი გაიმართა ამის გამო. საბედნიეროდ, პოეტი ცოცხალი იყო, თუმცა ავადმყოფობა შეუბრალებლად მიიწვდინა წინ. ამ მითქმა-მოთქმამ იგი ძალიან გადაღალა და ეს ჭირი მიიღო როგორც სასჯელი საექიმო საქმიანობის მიტოვების გამო: მიიმედა დავისაჯე, რადგან ჰიპოკრატეს ხელოვნებას განუდევნიო, - აღნიშნავდა ერთგან.

როგორც მაღალი რეპუტაციის ექიმს, ხუშკეს, წილად ხვდა შილერის გვამის გაცვეთა. აქ უკვე შეცდომა გამოიჩინა იყო - ფილტვების მდგომარეობა ცალსახად ტუბერკულოზზე მიუთითებდა; თირკმლები - თითქმის დაშლილი; გული - თითქოს ტანჯვისგან „დანაოჭებული“... „გასაკვირია, რომ ასეთი შერყეული ჯანმრთელობით მან ამდენ ხანს იცოცხლა“, - წერდა სამედიცინო დასკვნაში ხუშკე. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში არათუ ტუბერკულოზის დამარცხება შეიძლებოდა, არამედ ცოდნაც ამ დაავადების შესახებ მწირი იყო. მასზე მხოლოდ ბეჭდნენ, ექიმმა რეზელანცია, რომელიც სტეტოსკოპის გამოგონებლად ითვლება, ტუბერკულოზი განსაზღვრა როგორც „... უბედურება, რომელიც ორგანიზმს ქაშის, როგორც სიმსივნე.“ თუმცა, ფრანგი მედიკოსი აღნიშნავდა, რომ დაავადება, მართალია, მოურჩენელია, მაგრამ არა - გადადებელი. ბედის ირონიით, ექიმი ლაუნეკი 45 წლის ასაკში ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

მთავრად ნათი გოლკაძე

### სახელოვნო გაზაფხულის ადამიანის მარტოობა გენოში განაპირობებს

სან-დიეგოს უნივერსიტეტის მკვლევრებმა გააანალიზეს 50 წლის ზემოთ მყოფი ადამიანის გენომის მონაცემები. გენები განსაზღვრავენ, იქნება თუ არა ადამიანი მარტოსული. მარტოსულობის 55% გამოწვეულია გენეტიკური ფაქტორებით, - მოგვიხსრობს „ASPNOVA“.



მეცნიერები თვლიან, რომ ერთნაირი წრის ორ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მეგობრებთან და ნაცნობებთან ერთი და იგივე პრობლემები. აქედან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება გაუჩნდეს მარტოობის გრძობა, მეორეს კი - არა. მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა: მარტოობა დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ დაავადებებთან: დეპრესიას, ბიპოლარული განწყობა, შიზოფრენიას. ამასთანავე, მარტოობა ისევე აჩქარებს ნაადრევ სიკვდილს, როგორც სიმსუქნე. ამ დასკვნამდე მივიდნენ ბრიგამა იანგას უნივერსიტეტის სპეციალისტები, რომელმაც გააანალიზეს მედიცინის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მონაცემები. კვლევებში მონაწილეობა მიიღო 300 000-მა ადამიანმა.

**„სახელოვნო გაზაფხულის“ რედაქცია**  
 ვაჟა-ფშაველას გამზირი №33,  
 ოთახი №600,  
 ტ.: 254-24-64  
 რედაქტორი  
**ლელა ზივარაძე**  
 კორექტორები:  
**ბანანა ფხალაძე**  
 ტ.:555 29 98 27  
**დარეჯან კომლაძე**  
 ტ.:558 17 08 47  
**ნათი გოლკაძე**  
 ტ.:555 28 28 97  
 ელ-ფოსტა  
**newspapertsmu@gmail.com**